მოვაჭრის კონფიდენციალურობის პოლიტიკა	**Trader's Privacy Policy**
1. მიზანი	**1. The Purpose**
წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს ადამიანის, მომხმარებლის, უფლებათა და თავისუფლებათა, კერძოდ, მათი პერსონალური ინფორმაციის დაცვა, მოვაჭრის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.	The purpose of this privacy policy shall be to ensure the protection of human's, consumer's, rights, and freedoms, in particular, their personal information, during the processing of personal data by the trader.
2. მნიშვნელობა	**2. The Importance**
მოვაჭრისათვის მომხმარებლების პერსონალური ინფორმაციის დაცვა ნებისმიერი მომსახურების მიღებისას არის უმნიშვნელოვანესი, შესაბამისად, გარანტიას იძლევა, რომ მოვაჭრის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნებთან.	The protection of personal data of consumers when receiving any service is of the utmost importance for the trader, therefore, it guarantees that the trader 's activities are in full compliance with the requirements of the Georgian Law on Personal Data Protection.
3. ტერმინთა განმარტება	**3. Definition of terms**
კონფიდენციალურობის პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:	The terms used in this Privacy Policy have the following meanings:
3.1. **პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი)** – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;	3.1. **personal data ('the data')** – any information connected to an identified or identifiable natural person. A person shall be identifiable when he/she may be identified directly or indirectly, in particular by an identification number or by any physical, physiological, psychological, economic, cultural or social features specific to this person;
3.2. **მონაცემთა დამუშავება** – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით,	3.2. **data processing** – any operation performed in relation to the data by automated, semi-automatic or non-automatic means, in particular collection, recording, photographing, audio recording, video recording, organisation, storage, alteration, restoration, request for access to, use or disclosure by way of data transmission, dissemination or otherwise making them available, grouping or combination, locking, deletion, or destruction;

დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;	
3.3. **მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა** – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით;	3.3. **written consent of the data subject** – a voluntary consent expressed by a data subject, after receipt of the respective information on his/her personal data processing for specific purposes, which was signed or otherwise acknowledged by the data subject in writing or in any other equivalent form;
3.4. **თანხმობა** – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სა ტელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება ;	3.4. **consent** – a voluntary consent of a data subject, after receipt of the respective information, on his/her personal data processing for specific purposes expressed orally, through telecommunication or other appropriate means, which enables clearly establishing the will of the data subject;
4. შეგროვებული ინფორმაცია	**4. Information Collected**
4.1. მომსახურების გაწევისას მოვაჭრე უფლებამოსილია შეაგროვოს მომხმარებლის პერსონალური ინფორმაცია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მას კონკრეტული მომსახურების გაწევისთვის სჭირდება. ზემოაღნიშნული პერსონალური ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს: (ა) სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს, ტელეფონის ნომერს და პირის პირველადი იდენტიფიცირებისთვის საჭირო სხვა მონაცემს; (ბ) ფინანსურ ინფორმაციას, როგორიცაა ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ და სხვა.	4.1. While providing the service, the trader is entitled to collect the consumer's personal data in the volume that it needs to provide a specific service. Personal data mentioned above may include: (a) name, surname, personal number, address, telephone number and other data necessary for primary identification of the person; (b) financial information such as bank account information and others.
4.2. მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე გარდა 4.1. მუხლისა მოვაჭრე უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების გაწევისათვის საჭირო მომხმარებლის სხვა პერსონალური მონაცემი.	4.2. Depending on the specifics of the service, except article 4.1. the trader is entitled to request other personal data of the consumer necessary for the provision of the service.
4.3. მომსახურების გაწევამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გაუგზავნოს თანხმობის ფორმა, რომლის ხელმოწერითაც მომხმარებელი დაადასტურებს საკუთარ ნებას მოვაჭრის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.	4.3. Before providing the service, the trader is obliged to send the consumer a consent form, by signing which the consumer confirms his/her consent to the processing of personal data by the trader.

5. მონაცემთა დამუშავება და შენახვა	**5. Data processing and storage**
5.1. მოვაჭრის მიერ მომხმარებლების პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და შენახვა ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.	5.1. Processing and storage of consumers' personal data by the trader is carried out in accordance with the Georgian law on Personal Data Protection.
5.2. მომხმარებლის მიერ მოვაჭრისათვის მიწოდებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად მომხმარებელი.	5.2. The Consumer is responsible for the correctness of any personal data provided by the consumer to the trader.
5.3. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.	5.3. When requested by a data subject, a data controller shall be obliged to correct, update, add, block, delete, or destroy data if the data are incomplete, inaccurate, not updated, or were illegally collected and processed.
6. მონაცემთა გამჟღავნება	**6. Data Disclosure**
6.1. მოვაჭრე ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.	6.1. Trader shall be obliged to take appropriate organisational and technical measures to ensure protection of data against accidental or unlawful destruction, alteration, disclosure, collection, or any other form of unlawful use, and accidental or unlawful loss.
6.2. მოვაჭრე ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.	6.2. Trader shall be obliged to ensure registration of all operations performed in relation to electronic data. When processing non-electronic data, a data controller shall be obliged to register all operations with respect to disclosure and/or alteration of data.
6.3. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი	6.3. Any employee of a data controller and of a data processor, who is involved in processing of data, shall be obliged to stay within the scope of powers granted to him/her. In addition, he/she shall be obliged to protect data secrecy, including after his/her term of office terminates.

სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.	
6.4. მოვაჭრეს უფლება არ აქვს გაამჟღავნოს ან სხვაგვარად გადასცეს მომხმარებლების პერსონალური მონაცემები, გარდა კანონმდებლობით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებისა.	6.4. The trader has no right to disclose or otherwise transfer personal data of Consumers, except for exceptional cases established by law.
7. სხვა გარანტიები	**7. Other Guarantees**
7.1. ის, რაც არ არის მოცემული წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, მოწესრიგებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით..	7.1. What is not contained in this Privacy Policy is regulated by the Georgian Law on Personal Data Protection.
7.2. წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა არის საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი მომხმარებლისათვის.	7.2. This privacy policy is public and available to any consumer.